ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2013 წლის 2 დეკემბერი

ქ. ვანი

,,ვანის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-12 თავის მე-80 მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ვანის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, 09.01.2013 წელი, 190020020.35.121.016061) შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

თავი I

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	4,772.0	7,416.9	2,455.4	4,961.5	9,428.2	4,238.8	5,189.4
გადასახადები	153.7	115.5	0.0	115.5	177.4	0.0	177.4
გრანტები	4,277.2	6,930.2	2,455.4	4,474.8	8,743.3	4,238.8	4,504.5
სხვა შემოსავლები	341.1	371.2	0.0	371.2	507.5	0.0	507.5
ხარჯები	3,803.2	5,177.8	687.1	4,490.7	6,094.5	1,304.9	4,789.6
შრომის ანაზღაურება	1,048.6	1,194.5	0.0	1,194.5	1,856.6	0.0	1,856.6
საქონელი და მომსახურება	982.7	1,232.9	487.1	745.8	2,129.6	1,282.8	846.8
სუბსიდიები	1,521.9	1,900.4	200.0	1,700.4	2,108.3	22.1	2,086.2
გრანტები	250.0	850.0	0.0	850.0	0.0	0.0	0.0
საოპერაციო სალდო	968.8	2,239.1	1,768.3	470.8	3,333.7	2,933.9	399.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	969.3	2,236.6	1,754.2	482.4	3,301.5	2,949.8	351.7
ზრდა	1,011.0	2,280.4	1,754.2	526.2	3,321.5	2,949.8	371.7
კლება	41.7	43.8	0.0	43.8	20.0	0.0	20.0

მთლიანი სალდო	-0.5	2.5	14.1	-11.6	32.2	-15.9	48.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-47.4	-58.5	13.1	-71.6	-17.8	-15.9	-1.9
ზრდა	0.0	13.1	13.1	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები		13.1	13.1		0.0		
კლება	47.4	71.6	0.0	71.6	17.8	15.9	1.9
ვალუტა და დეპოზიტები	47.4	71.6		71.6	17.8	15.9	1.9
ვალდებულებების ცვლილება	-46.9	-61.0	-1.0	-60.0	-50.0	0.0	-50.0
კლება	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
საშინაო	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	4,813.7	7,460.7	2,455.4	5,005.3	9,448.2	4,238.8	5,209.4
შემოსავლები	4,772.0	7,416.9	2,455.4	4,961.5	9,428.2	4,238.8	5,189.4
არაფინანსური აქტივების კლება	41.7	43.8	0.0	43.8	20.0	0.0	20.0
გადასახდელები	4,861.1	7,519.2	2,442.3	5,076.9	9,466.0	4,254.7	5,211.3
ხარჯები	3,803.2	5,177.8	687.1	4,490.7	6,094.5	1,304.9	4,789.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,011.0	2,280.4	1,754.2	526.2	3,321.5	2,949.8	371.7
ვალდებულებების კლება	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
ნაშთის ცვლილება	-47.4	-58.5	13.1	-71.6	-17.8	-15.9	-1.9

მუხლი 3. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9428.2 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები

			ტრანსფერები			ტრანსფერები	
შემოსავლები	4,772.0	7,416.9	2,455.4	4,961.5	9,428.2	4,238.8	5,189.4
გადასახადები	153.7	115.5	0.0	115.5	177.4	0.0	177.4
გრანტები	4,277.2	6,930.2	2,455.4	4,474.8	8,743.3	4,238.8	4,504.5
სხვა შემოსავლები	341.1	371.2	0.0	371.2	507.5	0.0	507.5

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 177.4 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
გადასახადები	153.7	115.5	177.4
ქონების გადასახადი	153.7	115.5	177.4
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	84.1	45.2	100.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4.8	7.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	3.7	5.9	5.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1.1	1.1	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	38.8	41.2	37.4
ფიზიკური პირებიდან	29.0	30.2	32.4
იურიდიული პირებიდან	9.8	11.0	5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	26.0	22.1	35.0
ფიზიკური პირებიდან	5.6	4.7	5.0
იურიდიული პირებიდან	20.4	17.4	30.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8743.3 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	4,277.2	6,930.2	2,455.4	4,474.8	8,743.3	4,238.8	4,504.5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,277.2	6,930.2	2,455.4	4,474.8	8,743.3	4,238.8	4,504.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,245.6	4,474.8	0.0	4,474.8	4,504.5	0.0	4,504.5

გათანაბრებითი ტრანსფერი	**3,145.6**	**4,334.8**	**0.0**	**4,334.8**	**4,359.5**	**0.0**	**4,359.5**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	**100.0**	**140.0**	**0.0**	**140.0**	**145.0**	**0.0**	**145.0**
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**1,031.6**	**2,455.4**	**2,455.4**	**0.0**	**4,238.8**	**4,238.8**	**0.0**
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	**400.0**	**1,398.4**	**1,398.4**	**0.0**	**3,531.1**	**3,531.1**	**0.0**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	**571.6**	**707.0**	**707.0**	**0.0**	**707.7**	**707.7**	**0.0**
სხვა პროექტები	**60.0**	**350.0**	**350.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	**0.0**	**350.0**	**350.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
მ.შ. სხვა დანარჩენი	**60.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 507.5 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	**2011 წლის ფაქტი**	**2012 წლის ფაქტი**	**2013 წლის გეგმა**
სხვა შემოსავლები	**341.1**	**371.2**	**507.5**
შემოსავლები საკუთრებიდან	**274.2**	**312.5**	**397.5**
პროცენტები	**5.6**	**10.3**	**12.5**
რენტა	**268.6**	**302.2**	**385.0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	258.3	294.1	375.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	10.3	8.1	10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**32.0**	**25.3**	**30.0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**32.0**	**25.3**	**30.0**
სანებართვო მოსაკრებელი	5.1	2.9	5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	26.9	21.8	25.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.6	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**34.9**	**33.4**	**80.0**

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6094.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

		2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
დასახელება	2011 წლის						

	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3803.2	5177.8	687.1	4490.7	6094.5	1304.9	4789.6
შრომის ანაზღაურება	1048.6	1194.5	0.0	1194.5	1856.6	0.0	1856.6
საქონელი და მომსახურება	982.7	1232.9	487.1	745.8	2129.6	1282.8	846.8
სუბსიდიები	1521.9	1900.4	200.0	1700.4	2108.3	22.1	2086.2
გრანტები	250.0	850.0	0.0	850.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3301.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3321.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

პრ. კ.	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	120.8	52.0	0.0	52.0	33.3	0.0	33.3
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	19.5	73.6	0.0	73.6	104.5	0.0	104.5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	870.7	2,154.8	1,754.2	400.6	3,183.7	2,949.8	233.9
	სულ ჯამი	1,011.0	2,280.4	1,754.2	526.2	3,321.5	2,949.8	371.7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 20,0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	41.7	43.8	20.0
ძირითადი აქტივები	7.2	22.1	10.0
არაწარმოებული აქტივები	34.5	21.7	10.0
მიწა	34.5	21.7	10.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული

ფ.კ.	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,782.9	2,525.1	1.0	2,524.1	2,303.8	0.0	2,303.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,731.0	2,459.1	0.0	2,459.1	2,253.8	0.0	2,253.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,417.6	1,536.5	0.0	1,536.5	2,213.8	0.0	2,213.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	313.4	922.6	0.0	922.6	40.0	0.0	40.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	75.0	68.2	0.0	68.2	90.0	0.0	90.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	191.4	251.4	0.0	251.4	284.1	0.0	284.1
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	73.6	85.9	0.0	85.9	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	117.8	165.5	0.0	165.5	284.1	0.0	284.1
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,042.5	2,334.8	2,166.3	168.5	3,537.3	3,445.9	91.4
7045	ტრანსპორტი	1,042.5	2,334.8	2,166.3	168.5	3,537.3	3,445.9	91.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,042.5	2,334.8	2,166.3	168.5	3,537.3	3,445.9	91.4
705	გარემოს დაცვა	204.0	241.2	35.0	206.2	900.9	658.1	242.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	204.0	206.2	0.0	206.2	231.0	0.0	231.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	35.0	35.0	0.0	669.9	658.1	11.8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	216.6	366.8	40.0	326.8	426.6	128.6	298.0
7063	წყალმომარაგება	0.0	0.0	0.0	0.0	130.6	128.6	2.0
7064	გარე განათება	74.6	75.1	0.0	75.1	157.6	0.0	157.6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	142.0	291.7	40.0	251.7	138.4	0.0	138.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	47.5	50.0	0.0	50.0	52.0	0.0	52.0

7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	47.5	50.0	0.0	50.0	52.0	0.0	52.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	743.6	925.4	0.0	925.4	1,014.6	0.0	1,014.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	354.4	458.5	0.0	458.5	592.1	0.0	592.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	253.9	311.1	0.0	311.1	342.5	0.0	342.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	135.3	155.8	0.0	155.8	80.0	0.0	80.0
709	განათლება	403.2	428.7	0.0	428.7	536.1	22.1	514.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	403.2	428.7	0.0	428.7	536.1	22.1	514.0
710	სოციალური დაცვა	154.4	327.6	200.0	127.6	320.6	0.0	320.6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	26.4	32.9	0.0	32.9	70.0	0.0	70.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	112.3	152.1	100.0	52.1	117.0	0.0	117.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	15.7	142.6	100.0	42.6	133.6	0.0	133.6
	სულ	4,861.1	7,519.2	2,442.3	5,076.9	9,466.0	4,254.7	5,211.3

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 32,2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ატივების ცვლილება -17,8 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუტიდან გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელი 15,9 ათასი ლარი მიმართული იქნას შემდეგ ღონისძიებებზე, კერძოდ: გარე განათების მოწყობისათვის 8,6 ათასი ლარი, ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის 5.9 ათასი ლარი, გზების მშენებლობისათვის 1.0 ათასი ლარი, ხოლო 0,4 ათასი ლარი დაემატოს 2013 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ ბზვანის თემისათვის შესასყიდი ტრაქტორის ღირებულებას. ხოლო, საკუთარი შემოსავლების ნაშთი 1,9 ათასი ლარი მიიმართოს მიმდინარე წლის ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 40,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეგლის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 145,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 52,0 ათასი ლარი.

ბ) ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და ,, სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის 90,0 ათასი ლარი.

გ) ,,სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის 2.5 ათასი

ლარი.

დ) ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 0.5 ათასი ლარი.

2. ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“–ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით საჭიროა სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური ინვენტარით აღჭურვა, ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება, რაც გამოიწვევს მათ პროფესიული დონის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საგანგებო სიტუაციების დროს გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე შემცირებას.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზებას და მათი გაწვევის პუნქტებამდე გადაყვანას.

1. **საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)**

მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთვევების პრევენციის მიზნით საჭიროა სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური ინვენტარით აღჭურვა, ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება, რაც გამოიწვევს მათ პროფესიული დონის გაზრდას. ასევე მოხდება სპეციალიზებული სახანძრო ავტომანქანის შესყიდვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს საგანგებო სიტუაციების დროს გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე შემცირებას.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზებას და მათი გაწვევის პუნქტებამდე გადაყვანას.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტების ფარგლებში მოხდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ვანში სოლომონ მეორის, რუსთაველისა და 26 მაისის ქუჩებზე გზის მიმდინარე შეკეთება, შუამთა–მუქედისა და ზეინდარი–ფერეთას გზის მშენებლობა, ქალაქ ვანში ტაბიძისა და ბაგრატის ქუჩებზე ასევე საakაძის ქუჩაზე გზების შავი საფარით მოწყობა. მომზადდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - მთსიძირი-ჭაგან-ჭყვიშის გზის მშენებლობაზე, ქ. ვანში თამარ მეფისა და მშვიდობის ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე ასფალტობეტონის შავა საფარის მოწყობაზე, ქ. ვანში 26 მაისის ქუჩაზე მდინარე ჭიშურაზე არსებული ფოლადის ხიდის რეაბილიტაციაზე. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის №1234 და 2013 წლის 30 ოქტომბრის №1499 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით შეკეთდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზები ამაღლების, გადიდის, სალომინაოს, ფერეთას, ზედავანი, უხუთის, სულორის, სალხინოს, ძულუხის, დიხაშხოს, ციხესულორის, შუამთის, მუქედის, ყუმურის, მთისძირის, ტობანიერის, ბზვანის, ზეინდრის, გორასა და საპრასიის თემებსა და ქ. ვანში. შეკეთდება და მოეწყობა ბოგირები და წყალგამტარი არხები სალომინაოს, ფერეთას, უხუთის, საპრასიის, ამაღლების, ძულუხის, სულორის, სალხინოს, გადიდის, გორას, ზეინდრის, ზედავანის დიხაშხოს, ციხესულორის, შუამთის, მუქედის, მთისძირის, ტობანიერის, ბზვანის თემებში და ქალაქ ვანში. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ფერეთას, საპრასიის, ზეინდრის, ზედავანის, გორას, მუქედის თემებსა და ქ. ვანში არსებული ხიდებს.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამუშაოები რომლითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სანიტარული და ჰიგიენური პირობები- დაფინანსდება სანიაღვრე საწრეტი არხების, გარე განათების მოწყობის და ექსპლოატაციის, დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები.

2.2.1 სანიაღვრე-საწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02

01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ყოფილი პროფსასწავლებლის შენობის წინ ჯებირის, ქ. ვანში მდინარე სულორზე, შუამთის თემში მდინარე ყუმურზე და ამაღლების თემში მდინარე კვინწყალისა და კორწყალის შესართავთან ნაპირსამაგრების, სალომინაოს თემში ჭალის ტერიტორიაზე სახნავ–სათესი მიწების საწრეტი არხის მოწყობა. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის №1234 და 2013 წლის 30 ოქტომბრის №1499 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით ამოწმინდება სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე-საწრეტი არხები და მოეწყობა ნაპირსამაგრი ნაგებობები ამაღლების, ზეინდრის, გადიდის, სალომინაოს, ფერეთას, ზედავანის, გორას, სულორის, სალხინოს, ძულუხის, დიხაშხოს, ციხესულორის, შუამთის, მუქედის, ყუმურის, მთისძირის, ტობანიერის თემებში და ქალაქ ვანში.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები – (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამა გულისხმობს (ა)აიპ „ვანის კომუნალური გაერთიანების“ დაფინანსებას. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის და სუფთა გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შესაბამისი უბნებისა და ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

არსებული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ყოფილი პროფსასწავლებლის შენობაში წყლის შეყვანა და ტობანიერის თემში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ოქტომბრის №1499 განკარგულებებით გამოყოფილი თანხიდან აღდგება სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალი სულორის თემში, კურორტ სულორის უბანში.

2.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

გარე განათება წარმოადგენს ღამის პერიოდში საზოგადოების კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების აუცილებელ პირობას, რითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ასევე მოეწყობა ახალი სანათები ქ. ვანში რუსთაველის ქუჩაზე, ჯვრის მოედანთან, თავისუფლების ქუჩა №64–ის წინ არსებულ სკვერში, თავისუფლების ქუჩაზე და ჭაგან–ჭყვიშში. მომზადდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის, ქ. ვანში ერისთავის და გიორგაძის ქუჩებზე, ასევე დიხაშხოს თემში ისრითის სკოლის მიმდებარედ გარე-განათების მოწყობაზე.

2.3 ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

არსებული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ვანში შინმოუსვლელთა სკვერისა და სტადიონთან კედლის კეთილმოწყობა, თავისუფლების ქუჩა №86 არსებული ბინის დაზიანებული სახურავის შეკეთება, თავისუფლების №63–ში არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტის, თავისუფლების ქ№63 და №65–ს შორის შესასვლელ გზაზე ქვაფენილის მოწყობა. მოეწყობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია კულტურის ცენტრის, ცენტრალური სტადიონის და ქ. ვანის №1 საბავშვო ბაღის რემონტის პირველ ეტაპზე, თავისუფლების №65-ში არსებული შენობის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს სკვერის მოწყობაზე, თამარ მეფის ქუჩაზე ფეხითსავალი ბილიკის მოწყობაზე და სკვერის რეაბილიტაციაზე

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში ღონისძიებები განხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ: 297,5 ათასი ლარი მიიმართება გზების მშენებლობის, რეკოსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯებისათვის, 30,8 ათასი ლარი გარე– განათების მოწყობისათვის, 21,7 ათასი ლარი სანიაღვრე–საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის, 48,9 ათასი ლარი ბზვანის თემისათვის ტრაქტორის შესაძენად, 69,6 ათასი ლარი თვითდინებითი წყალსადენი სისტემების რეაბილიტაციისათვის, ხოლო 239,2 ათასი ლარი ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის.

3.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 450-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს კვების ხარჯების ნაწილს, ხოლო დანარჩენ ხარჯს მთლიანად. 2013 წლის 1 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტი დააფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირების ყველა ხარჯს. ხორციელდება არსებული ბაღების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. გაერთიანებაში ასევე შედის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს ხატვის, ფოლკლორის, სატირულ–იუმორისტული, ქორეოგრაფიული და მხატვრული კითხვის წრეები.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა მომავალმა თაობამ შეძლოს მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება (ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სულორი ვანი“–ს, ა(ა)იპ „სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანების'', სპორტული ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: ეროვნულ ჩემპიონატებში მძლეოსნობასა და სამბოში, ასევე რეგიონულ ტურნირებში მძლეოსნობაში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში სპორტსმენთა და მწვრთნელთა მივლინების ხარჯები. გაიმართება რაიონული პირველობები მინი ფეხბურთსა და ფეხბურთში.

4.1.2 - ა(ა)იპ სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02)

გაერთიანებაში ფუნქციონირებს ფეხბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობისა და ჭადრაკის სექციები და მუსიკალური სკოლა. გაერთიანება უზრუნველყოფს სხვადასხვა ტურნირებში მათი მივლინებისა და კვების ხარჯების დაფინანსებას. ხელი უწყობს ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდას, წარმოჩინებას და ფართო ასპარეზზე გაყვანას.

4.1.3 - ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,სულორი–ვანი“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფეხბურთელთათვის სავარჯიშო და სათამაშო პირობების შექმნა, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პოპულარიზაცია.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის მნიშვნელოვანია იმ სახალხო–სადღესასწაულო ღონისძიებათა დაფინანსება, რომლების ყოველწლიურად მასშტაბურად იმართება– –,,ვანელობა“, ,,გალაკტიონობა“, ,,ტიციანობა“ , 26 მაისის, 9 აპრილისა და 8 აგვისტოსადმი მიძღვნილი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება.

4.2.1 ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება, არსებული წიგნადი ფონდის შენარჩუნება და გაზრდა. კორნელი კეკელიძისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმის დაფინანსების უზრუნველყოფა.

4.3ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას. პროგრამის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის ჩაბმა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მუნიციპალიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს ბავშვთა და ახალგაზრდების პატრიოტულ ბანაკებში გამგზავრებისა და დასვენების, ინტელექტუალური გუნდების მომზადებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯებს. იუმორისტული შეჯიბრებების მომზადებასა და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობას.

4.4 ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

5.მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

5.1 ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები.
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა.
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა.
- პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები.
- პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა.
- დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა.
- სანიტარული ღონისძიებები.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

- ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

5.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობა საჭიროებს სოციალურ დაცვას ცხოვრებისეული რისკებისაგან. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 - მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 28 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა,რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ ბენეფიციართა უმეტესი ნაწილი არის ღრმა მოხუცი, გარკვეული ნაწილი არის გონებადაქვეითებული და მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ არც მატერიალური საშუალება არ გააჩნიათ სადილის მოსამზადებლად, ყოველივე ამის გამო დღეში ერთხელ მათი გამოკვება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

5.2.2 დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, 250 ლარის ოდენობით.იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით, გარდაცვლილთათვის სასახლის შესაძენად.

5.2.3 ერთჯერადი დახმარება ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით (პროგრამული კოდი 06 0203)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველ და მეორე ახალშობილ ბავშვზე 200 ლარი, მესამე და მეტი შვილის შეძენისას 300 ლარი, ტყუპების შეძენისას 500 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებთ მძიმე სოციალური პირობები აქვთ, რის გამოც მათთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა გარკვეულად მასტიმულირებელი და იმედის მომცემია.

5.2.4 სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაცია (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დახმარებას გაუწევს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობას ფულადი კომპენსაციის სახით, რაც მათ ნაწილობრივ აუნაზღაურებს სტიქიის გამო მიყენებულ ზარალს.

5.2.5 სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება – 32.1 ათასი ლარის, ერთჯერადი ფულადი დახმარება სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისათვის – 88.5 ათასი ლარის, ღირსშესანიშნავი თარიღების აღმნიშვნელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის 10.0 ათასი ლარი ოდენობით.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები 9466.0 ათასი ლარის ოდენობით შემდეგი რედაქციით:

ფ.კ.	პრ. კ.	ვანის მუნიციპალიტეტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
		ვანის მუნიციპალიტეტი	4,861.1	7,519.2	2,442.3	5,076.9	9,466.0	4,254.7	5,211.3
		მომუშავეთა რიცხოვნობა	194.0	214.0	0.0	214.0	221.0	0.0	221.0
		ხარჯები	3,803.2	5,177.8	687.1	4,490.7	6,094.5	1,304.9	4,789.6
		შრომის ანაზღაურება	1,048.6	1,194.5	0.0	1,194.5	1,856.6	0.0	1,856.6
		არაფინანსური აქტივების ზრდა	1,011.0	2,280.4	1,754.2	526.2	3,321.5	2,949.8	371.7

		ვალდებულებების კლება	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,782.9	2,525.1	1.0	2,524.1	2,303.8	0.0	2,303.8
		მომუშავეთა რიცხოვნობა	164.0	180.0	0.0	180.0	187.0	0.0	187.0
		ხარჯები	1,615.2	2,412.1	0.0	2,412.1	2,220.5	0.0	2,220.5
		შრომის ანაზღაურება	912.3	1,065.0	0.0	1,065.0	1,660.8	0.0	1,660.8
		არაფინანსური აქტივების ზრდა	120.8	52.0	0.0	52.0	33.3	0.0	33.3
		ვალდებულებების კლება	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
	01 01	ვანის საკრებულო	324.8	402.1	0.0	402.1	648.7	0.0	648.7
		მომუშავეთა რიცხოვნობა	25.0	30.0		30.0	36.0		36.0
70111		ხარჯები	310.5	398.8	0.0	398.8	645.1	0.0	645.1
		შრომის ანაზღაურება	224.6	255.6	0.0	255.6	469.2	0.0	469.2
70111		არაფინანსური აქტივების ზრდა	14.3	3.3	0.0	3.3	3.6	0.0	3.6
	01 02	ვანის გამგეობა	1,092.8	1,134.4	0.0	1,134.4	1,565.1	0.0	1,565.1
		მომუშავეთა რიცხოვნობა	139.0	150.0		150.0	151.0		151.0
70111		ხარჯები	986.3	1,085.7	0.0	1,085.7	1,535.4	0.0	1,535.4
		შრომის ანაზღაურება	687.7	809.4	0.0	809.4	1,191.6	0.0	1,191.6
70111		არაფინანსური აქტივების ზრდა	106.5	48.7	0.0	48.7	29.7	0.0	29.7
	01 03	სარეზერვო ფონდი	63.4	72.6	0.0	72.6	40.0	0.0	40.0
70112		ხარჯები	63.4	72.6	0.0	72.6	40.0	0.0	40.0
	01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
		ვალდებულებების კლება	46.9	61.0	1.0	60.0	50.0	0.0	50.0
	01 05	მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი	5.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
7018		ხარჯები	5.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
	01 06	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შევსება	250.0	850.0	0.0	850.0	0.0	0.0	0.0

70112		ხარჯები	250.0	850.0	0.0	850.0	0.0	0.0	0.0
	02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	266.4	319.6	0.0	319.6	374.1	0.0	374.1
		მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	34.0	0.0	34.0	34.0	0.0	34.0
		ხარჯები	246.9	246.0	0.0	246.0	269.6	0.0	269.6
		შრომის ანაზღაურება	136.3	129.5	0.0	129.5	195.8	0.0	195.8
		არაფინანსური აქტივების ზრდა	19.5	73.6	0.0	73.6	104.5	0.0	104.5
	02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	117.8	165.5	0.0	165.5	284.1	0.0	284.1
		მომუშავეთა რიცხოვნობა	22.0	26.0		26.0	26.0		26.0
7032		ხარჯები	113.3	113.6	0.0	113.6	182.6	0.0	182.6
		შრომის ანაზღაურება	83.9	87.0	0.0	87.0	136.0	0.0	136.0
7032		არაფინანსური აქტივების ზრდა	4.5	51.9	0.0	51.9	101.5	0.0	101.5
	02 02	შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება	73.6	85.9	0.0	85.9	0.0	0.0	0.0
7031		ხარჯები	58.6	66.5	0.0	66.5	0.0	0.0	0.0
7031		არაფინანსური აქტივების ზრდა	15.0	19.4	0.0	19.4	0.0	0.0	0.0
	02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	75.0	68.2	0.0	68.2	90.0	0.0	90.0
		მომუშავეთა რიცხოვნობა	8.0	8.0		8.0	8.0		8.0
702		ხარჯები	75.0	65.9	0.0	65.9	87.0	0.0	87.0
		შრომის ანაზღაურება	52.4	42.5	0.0	42.5	59.8	0.0	59.8
702		არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2.3	0.0	2.3	3.0	0.0	3.0
	03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,463.1	2,942.8	2,241.3	701.5	4,864.8	4,232.6	632.2
		ხარჯები	592.4	788.0	487.1	300.9	1,681.1	1,282.8	398.3
		არაფინანსური აქტივების ზრდა	870.7	2,154.8	1,754.2	400.6	3,183.7	2,949.8	233.9
	03 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	471.9	1,640.7	1,472.2	168.5	2,813.7	2,722.3	91.4
70451		ხარჯები	48.9	134.8	129.8	5.0	764.2	692.5	71.7
70451		არაფინანსური აქტივების ზრდა	423.0	1,505.9	1,342.4	163.5	2,049.5	2,029.8	19.7

	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	278.6	316.3	35.0	281.3	1,189.1	786.7	402.4
		ხარჯები	266.0	280.8	0.0	280.8	514.8	198.2	316.6
		არაფინანსური აქტივების ზრდა	12.6	35.5	35.0	0.5	674.3	588.5	85.8
	03 02 01	სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	35.0	35.0	0.0	669.9	658.1	11.8
7052		ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	198.2	198.2	0.0
7052		არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	35.0	35.0	0.0	471.7	459.9	11.8
	03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	204.0	206.2	0.0	206.2	231.0	0.0	231.0
7051		ხარჯები	204.0	206.2	0.0	206.2	231.0	0.0	231.0
	03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	0.0	130.6	128.6	2.0
7063		ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0
7063		არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	128.6	128.6	0.0
	03 02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	74.6	75.1	0.0	75.1	157.6	0.0	157.6
7064		ხარჯები	62.0	74.6	0.0	74.6	83.6	0.0	83.6
7064		არაფინანსური აქტივების ზრდა	12.6	0.5	0.0	0.5	74.0	0.0	74.0
	03 03	ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა	142.0	291.7	40.0	251.7	138.4	0.0	138.4
7066		ხარჯები	60.0	55.1	40.0	15.1	10.0	0.0	10.0
7066		არაფინანსური აქტივების ზრდა	82.0	236.6	0.0	236.6	128.4	0.0	128.4
	03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	570.6	694.1	694.1	0.0	723.6	723.6	0.0
70451		ხარჯები	217.5	317.3	317.3	0.0	392.1	392.1	0.0
70451		არაფინანსური აქტივების ზრდა	353.1	376.8	376.8	0.0	331.5	331.5	0.0
	04 00	განათლება	403.2	428.7	0.0	428.7	536.1	22.1	514.0
		ხარჯები	403.2	428.7	0.0	428.7	536.1	22.1	514.0
	04 01	სკოლამდელი განათლება	403.2	428.7	0.0	428.7	536.1	22.1	514.0

7091		ხარჯები	403.2	428.7	0.0	428.7	536.1	22.1	514.0
	05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	743.6	925.4	0.0	925.4	1,014.6	0.0	1,014.6
		ხარჯები	743.6	925.4	0.0	925.4	1,014.6	0.0	1,014.6
	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	354.4	458.5	0.0	458.5	592.1	0.0	592.1
		ხარჯები	354.4	458.5	0.0	458.5	592.1	0.0	592.1
	05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	9.2	12.6	0.0	12.6	15.0	0.0	15.0
7081		ხარჯები	9.2	12.6	0.0	12.6	15.0	0.0	15.0
	05 01 02	სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება	207.1	251.7	0.0	251.7	335.1	0.0	335.1
7081		ხარჯები	207.1	251.7	0.0	251.7	335.1	0.0	335.1
	05 01 03	საფეხბურთო კლუბი „სულორი - ვანი“	138.1	194.2	0.0	194.2	242.0	0.0	242.0
7081		ხარჯები	138.1	194.2	0.0	194.2	242.0	0.0	242.0
	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	253.9	311.1	0.0	311.1	342.5	0.0	342.5
		ხარჯები	253.9	311.1	0.0	311.1	342.5	0.0	342.5
	05 02 01	კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	253.9	311.1	0.0	311.1	342.5	0.0	342.5
7082		ხარჯები	253.9	311.1	0.0	311.1	342.5	0.0	342.5
	05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	5.3	5.8	0.0	5.8	10.0	0.0	10.0
7084		ხარჯები	5.3	5.8	0.0	5.8	10.0	0.0	10.0
	05 04	ეპარქიის დაფინანსება	130.0	150.0	0.0	150.0	70.0	0.0	70.0
7084		ხარჯები	130.0	150.0	0.0	150.0	70.0	0.0	70.0
	06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	201.9	377.6	200.0	177.6	372.6	0.0	372.6
		ხარჯები	201.9	377.6	200.0	177.6	372.6	0.0	372.6
	06 01	ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	47.5	50.0	0.0	50.0	52.0	0.0	52.0

7074		ხარჯები	47.5	50.0	0.0	50.0	52.0	0.0	52.0
	06 02	სოციალური პროგრამები	154.4	327.6	200.0	127.6	320.6	0.0	320.6
		ხარჯები	154.4	327.6	200.0	127.6	320.6	0.0	320.6
	06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	16.3	19.1	0.0	19.1	21.0	0.0	21.0
7107		ხარჯები	16.3	19.1	0.0	19.1	21.0	0.0	21.0
	06 02 02	დაკრძალვის ხარჯები	4.6	1.9	0.0	1.9	3.0	0.0	3.0
7109		ხარჯები	4.6	1.9	0.0	1.9	3.0	0.0	3.0
	06 02 03	ერთჯერადი დახმარება ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით	26.4	32.9	0.0	32.9	70.0	0.0	70.0
7104		ხარჯები	26.4	32.9	0.0	32.9	70.0	0.0	70.0
	06 02 04	სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაცია	96.0	133.0	100.0	33.0	96.0	0.0	96.0
7107		ხარჯები	96.0	133.0	100.0	33.0	96.0	0.0	96.0
	06 02 05	სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსება	11.1	140.7	100.0	40.7	130.6	0.0	130.6
7109		ხარჯები	11.1	140.7	100.0	40.7	130.6	0.0	130.6

მუხლი 2

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გია ოჩხიკიძემ.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **გია ოჩხიკიძე**
მოადგილე